# ხელშეკრულება N177

ქ. ყვარელი 16.11.2018 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში „შემსყიდველი" წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის რისტომ სესიაშვილის სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი" ი. მ. მაია ბეჟუაშვილი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

## 1.ხელშეკრულების საგანი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მობილური ტელეფონის (CPV32250000) მიწოდება (დანართი N1).

## 2.საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიმწოდებელი შემსყიდველს საქონელს მიაწოდებს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის ვადაში.

2.3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 35 (ოცდათხუთმეტი) ლარს.

## 3.ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

## 4.მხარეთა ვალდებულებები

4.1.მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას
4.1.1.მუნიციპალიტეტის გამგეობას გაუწიოს ზემოთაღნიშნული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
4.2.შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
4.3.გაწეულ მომსახურებაზე მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას დეფექტი.

## 5. დავათაგანხილვის წესი

5.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები, იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
6.3.იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.06%-ს „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს „მიმწოდებლის" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
6.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.
7.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.
8.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას.

დანართი N 1

| N | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | მობილური ტელეფონი Tecmor T444m | 1 ცალი | 35 ლარი | 35 ლარი |
| | | | | ჯამი: 35 ლარი |

11. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია<br>მისამართი:კუდიგორის ქ. N5<br>ს/კ 241578574 | ი. მ. მაია ბეჟუაშვილი<br>ს/კ 01027004028<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>BAGAGE22 ს.ს. "საქართველოს ბანკი"<br>ა.ნ. GE93BG0000000255381900 |

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

რ.სესიაშვილი

ინდ. მეწარმე

მ. ბეჟუაშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი N177

ქ. ყვარელი

16.11.2018 წელი

ერთის მხრივ შემსყიდველი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის რომან სუხიაშვილის სახით და მეორეს მხრივ მიმწოდებელი ი. მ. მაია ბუჯიაშვილი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ჩაბარებულია დაკვეთილი საქონლის მიწოდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N177 ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მობილური ტელეფონის მიწოდება (დანართი N1).

ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 35 (ოცდათხუთმეტი) ლარს.

დანართი N1

| N | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | მობილური ტელეფონი Tecmor T444m | 1 ცალი | 35 ლარი | 35 ლარი |

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

/რ. სუხიაშვილი/

ინდ. მეწარმე

/მ. ბუჯიაშვილი/